საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 4292-02
26/12/2019

„სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების წესის განსაზღვრის შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 27 აპრილის №1074-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და უნივერსიტეტში თამბაქოს კონტროლის კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

,,თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის” წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის გიორგი მამუჩაშვილის 2019 წლის 23 დეკემბრის N22606-35 და 25 დეკემბრის N22780-35 მოხსენებითი ბარათების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 27 აპრილის №1074-02 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:
   ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „1. თამბაქოს მოწევა აკრძალულია უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე, გარდა ამისათვის გამოყოფილი სპეციალურად განსაზღვრული ადგილებისა.“;
   ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „1^1“ პუნქტი:
   „1^1. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოსაწევი სპეციალური ადგილები განსაზღვრულია შემდეგ ლოკაციებზე:
   ა) ქალაქ თბილისში, ქ.ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5-ის ტერიტორიაზე, G და H სასწავლო კორპუსებს შორის, სპორტული მოედნის მიმდებარედ, სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას;
   ბ) ქალაქ თბილისში, ქ.ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5-ის ტერიტორიაზე, E სასწავლო კორპუსთან, ავტოსადგომის მიმდებარედ, სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას;
   გ) ქალაქ თბილისში, შ.ნუცუბიძის N77-ის ტერიტორიაზე, I კორპუსის მიმდებარედ, სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას.“.

2. დაევალოს მატერიალური რესურსების სამსახურს, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მოხსენებული ცვლილების შესაბამისად უზრუნველყოს სპეციალურად განსაზღვრული მოსაწევი ადგილების მონიშვნა და შესაბამისი მანიშნებელი აბრების გაკვრა;
3. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს დაევალოს, გაამკაცროს ადმინისტრირება „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების წესის განსაზღვრის შესახებ“ ბრძანების დებულებათა აღსრულების მიზნით;
4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მოამზადოს 3 ცალი A3 ფორმატზე (ლამინირებული) მანიშნებელი აბრის დიზაინი (ტექსტი: თამბაქოს მოსაწევი სივრცე Smoking Area);
5. დაევალოს გამომცემლობას დიზაინის მომზადების შემდგომ დაბეჭდოს 3 ცალი A3 ფორმატზე (ლამინირებული) მანიშნებელი აბრა (ტექსტი: თამბაქოს მოსაწევი სივრცე Smoking Area);
6. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტში დასაქმებულ ყველა პირს;
7. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“ გაგზავნის გზით;
8. დაევლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებვერდზე;
9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსს, გიორგი მამუჩაშვილს და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს ვასილ მარგალიტაძეს;
10. ბრძანება ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან;
11. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გამოაკრას საჯაროდ საუნივერსიტეტო სტენდზე, გააცნოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო და სტრუქტურულ ერთეულს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი